

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთეულის ღირებულების ინდექსი საქართველოში 2023 წლის IV კვარტალი



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

05.03.2024

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთეულის ღირებულების ინდექსი საქართველოში 2023 წლის IV კვარტალი

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთეულის ღირებულების ინდექსი წინა კვარტალთან შედარებით 3.0 პროცენტით შემცირდა. აღნიშნული ცვლილება, ძირითადად, განპირობებული იყო ცოცხალი ცხოველების და ცხოველური წარმოშობის პროდუქტების ღირებულების 7.1 პროცენტიანი კლებით, რამაც -3.99 პროცენტული პუნქტი შეიტანა ჯამური ინდექსის ცვლილებაში.

წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთეულის ღირებულების ინდექსი შემცირდა 4.6 პროცენტით. ინდექსის კლება, ძირითადად, გამოწვეული იყო ერთწლოვანი კულტურების ღირებულების 25.2 პროცენტიანი კლებით, რაც -5.22 პროცენტული პუნქტითა ისახამთლიანი ინდექსის ცვლილებაზე. ამავე პერიოდში მრავალწლოვანი კულტურების ღირებულება გაიზარდა 4.3 პროცენტით, რამაც 1.18 პროცენტული პუნქტი შეიტანა ჯამური ინდექსის ცვლილებაში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2023 წლის მეოთხე კვარტალში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთეულის ღირებულების ინდექსები წინა კვარტალთან და წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით, ასევე ინდექსების ფორმირებაში მონაწილე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჯგუფების შესაბამისი წვლილები:


კოდი	ჯგუფები	2023 წლის III კვარტალთან	წვლილი* კვარტალის ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში	2022 წლის IV კვარტალთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
A	სულ	97.0	-2.96	95.4	-4.57
01.1	ერთწლოვანი კულტურები	103.8	0.58	74.8	-5.22
01.2	მრავალწლოვანი კულტურები	101.6	0.45	104.3	1.18
01.4	ცოცხალი ცხოველები და ცხოველური წარმოშობის პროდუქტები	92.9	-3.99	99.0	-0.53

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.


საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

05.03.2024

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთეულის ღირებულების ინდექსის ცვლილება (წინა კვარტალთან შედარებით)



სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთეულის ღირებულების ინდექსის ცვლილება (წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით)



05.03.2024

მეთოდოლოგიური დანართი

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთეულის ღირებულების ინდექსი წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში ქვეყნის მასშტაბით სასოფლო მეურნეობების მიერ წარმოებული და რეალიზებული პროდუქციის ფასების საშუალო დონის ცვლილებას საბაზო პერიოდთან შედარებით.

ინდექსი მოიცავს შემდეგ პროდუქტებს:

- **ერთწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურები** (ხორბალი, სიმინდი, მზესუმზირა, კარტოფილი და სხვ.);
- **მრავალწლოვანი კულტურები** (ყურძენი, ხილი, თხილი, კაკალი და სხვ.);
- **ცოცხალი ცხოველები და ცხოველური წარმოშობის პროდუქტები** (მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, თაფლი, რძე და სხვ.).

სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთეულის ღირებულების ინდექსის სტრუქტურა შეესაბამება საქმიანობის სახეობათა მიხედვით პროდუქციის სტატისტიკური კლასიფიკატორის (CPA 2008) ევროპულ სტანდარტს. CPA-ის შესაბამისად მოცულია A-სექციის (სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის პროდუქცია) 01.1, 01.2 და 01.4 ჯგუფები.

ინდექსის გაანგარიშებისათვის საჭირო მონაცემების წყაროა სასოფლო მეურნეობათა გამოკვლევა. გამოკვლევის შედეგად მიიღება მონაცემები ქვეყნის მასშტაბით პირუტყვისა და ფრინველის სულადობის, ფუტკრის ოჯახების რაოდენობის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების, საშუალო წველადობის, პირუტყვის საშუალო ნამატის, ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი და აღებული ფართობების, წარმოებისა და საშუალო მოსავლიანობის შესახებ, მრავალწლოვანი კულტურების წარმოების, ასევე ზემოთ ჩამოთვლილი პროდუქტების რეალიზაციის შესახებ.

ინდექსის გაანგარიშებისათვის გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ერთეულების ღირებულება წარმოადგენს მითითებულ პერიოდში სასოფლო მეურნეობათა მიერ რეალიზებული მემცენარეობის ან/და მეცხოველეობის პროდუქციის ჯამური ღირებულებისა და რეალიზაციის ჯამური მოცულობის ფარდობას. აღნიშნული მაჩვენებელი ასახავს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საშუალო ღირებულებას ფერმის კართან.

მეტი დეტალისთვის იხილეთ ინდექსის გაანგარიშების [მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო](#).

საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული, ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: gtetrauli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge